

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40  
მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ  
შემოსული განცხადებების სტატისტიკა  
2014 წლის III კვარტალის  
მონაცემები**

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 2014 წლის III კვარტალში სულ შემოვიდა 24 განცხადება, აქედან:

23 შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, დაკმაყოფილდა სრულად.

1 განცხადებაზე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

განმცხადებელი ითხოვდა კონკრეტული სფეროს მარეგულირებელ აქტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ვერ უთითებდა ნორმატიული აქტის რომელიმე კონკრეტული რეკვიზიტს (მიმღები უწყება, სათაური, მიღების თარიღი, ნომერი და ა.შ.)

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის № 389 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ახორციელებს ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას, მათ რეგისტრაციასა და საკონტროლო მდგომარეობაში მოყვანას (სისტემატიზაცია), რაც არ გულისხმობს ნორმატიული აქტების შინაარსის გაცნობას და შესაბამისად, კონკრეტული მარეგულირებელი საკითხის თაობაზე მონაცემთა ბაზის (რეესტრი) წარმოებას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.